საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 44 19/06/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 3 სხდომა აღნიშნული კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა 6 საკითხი:

1. ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვის შესახებ.

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ღონისძიებათა შესახებ.

3. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს „მუნციპალური ტრანსპორტი“-ს ანგარიშის მოსმენის შესახებ.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის და სოფ. ნატანების (შეკვეთილი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავიზღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ.

6. შემოსული კორესპოდენციების განხილვის შესახებ.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა იმსჯელეს და წარმოდგენილ საკითხზე გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი და წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად. აღნიშნულ პროექტზე არსებობს კომისიის შესაბამისი დასკვნა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ღონისძიებებს, კომისიის წევრებმა მოისმინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელა ჩავლეშვილის ინფორმაცია და მოწონებულ იქნა აღნიშნული საკითხი, კომისიის გადაწყვეტილებით შესაბამისი მიმართვა გაეგზავნა მუციციპალიტეტის გამგეობას.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს შ.პ.ს „მუნციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის ანგარიში I კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება: შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის და სოფ. ნატანების (შეკვეთილი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავიზღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ, კომისიას შესაძლებლად მიაჩნია მისი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე წარდგენა განსახილველად და დასამტკიცებლად.

ხოლო რაც შეეხება მესამე და მეექვსე საკითხს, რომელიც ეხება შემოსული კორესპოდენციების განხილვებს, კომისიამ განიხილა და ადრესატებთან გაგზავნილი იქნა შესაბამისი პასუხები.

ტარიელ არუშიძე



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია